სიმონ ბერეჯიანი

ლექსები

SIMON BEREJIANI

ŒUVRES POÉTIQUES GEORGIENNES

PARIS - 1982

8СГ-1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს გასათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნას

1941-1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ბერეჭიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა უწყებად

ეს წიგნი სიმონ ბერეჟიანის ლექსთა მეორე გამოცემაა. ამას მოითხოვდა მრავალი გარემოება: ომის დროს გერმანიაში ცუდ ქაღალდზე გამოცემული წიგნის დღეს გაცრეცილ - გაყვითლებული და დაზიანებული რამოდენიმე ცალი - ღა მოიპოვება. ხოლო სიმონ ბერეჟიანის ნაწერები ღირსია რომ არ დაიკარგოს - არა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთში გარდახვეწილ პოეტის დავიწყება დაუშვებელია, არამედ იმიტომ, რომ ეს პატარა კრებული, რომელშიდაც მხოლოდ თექვსმეტი სათაურია, სრულებითაც ზედმეტი არ არის ქართული პოეზიისათვის - მიუხედავად ამ პოეზიის დიდი სიმდიდრისა და მესამე გარემოება ის არის, რომ ეს პატარა წიგნი, ამავე დროს პოეტის ძეგლია რადგან მისი საფლავიც კი დაკარგულია.

პირველ წიგნს წინ უძღვის ვიქტორ ნოზაძის მოკლე წინასიტყვაობა და მარკოზ ტულუშის წერილი, რომელიც სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფიასაც შეიცავს. აქ ჩვენ მოგვყავს დამატებითი ცნობები, რომელთა მოწოდებისათვის მადლობა ეკუთვნის - ბატონ შოთა ბერეჟიანს.

სიმონიკა - ასე იცნობდა მას პარიზის ქართველობა; დაიბადა 1899 წელს, იგი დაბადებით ბერეჟიანი არ იყო. სიმონიკას მამა ერმილე თაყაიშვილი იყო და დედა ქარცივაძის ქალი ყოფილა. სიმონიკას მშობლებს ხუთი შვილი ჰყოლიათ, ვაჟები: სიმონიკა, სევერიანი და კოკოლა და ორი ქალი. ერთი წლის სიმონიკა შვილად აუყვანია მის უშვილო დეიდას, რომელსაც გოგუცა ერქვა და სიმონ ბერეჟიანსა ჰყავდა ცოლად, ამ სიმონმა მისცა სიმონიკას თავისი სახელი და გვარიც - როცა ბავშვი მონათლეს.

მისმა ახალმა მშობლებმა სიმონიკა ტფილისში ჩაიყ-

ვანეს, სადაც ისინი საკუთარ სახლში ცხოვრობდნენ ვარაზის ხევის მახლობლად. ტფილისში სიმონიკა ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო ზაფხულობით გურიაში ჩადიოდნენ სადაც ბერეჟიანებს კარგი მამული და სახლკარი ჰქონდათ სოფელ ახალშენში ხიდისთავთან.

შოთა ბერეჟიანის ცნობით, სიმონიკა ბავშობისთანავე მრავალნაირ ნიჭს იჩენდა. ხატავდა, მისმიერ წანაკითხს გმირულ ამბებს მოუთხრობდა ბავშვებს და ზოგჯერ თავისებურად არტისტობდა კიდევაც: თოფ - იარაღს აისხამდა თურმე, ვითომ კაკო ყაჩაღი ვარო. სიმონიკას ძლიერ გვიან გაუგია რომ იგი თაყვანშვილი იყო. ამის შესახებ იგი არასოდეს ლაპარაკობდა და საფიქრებელია, რომ მას ემძიმებოდა კიდევაც ეს გარემოება. ერთხელ როდესაც ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდნილა, მას უთქვამს: მე ქრისტიანული წესით მოვინათლე ბერეჟიანად და საჭირო არ არის რომ ორი გვარი მქონდესო.

დაწოუკიდებლობის დროს სიმონიკა თავისი ხარჯით გერმანიაში წამოვიდა განათლების მისაღებად. საქართველოს დაპყრობის შემდეგ იგი ორი თუ სამი წელი კიდევ დარჩა ბერლინში, მაგრამ ცხოვრება გაუძნელდა და საფრანგეთში გადწოსახლდა. აქ იგი მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. სიმონიკა დაარსებისთანავე ბიეკედლა „თეთრი გიორგის" მოძრაობას და ამ მიმართულების გაზეთში — „თეთრი გიორგი" და „ქართლოსში" თანამშრომლობდა. ამავე გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები და ქვეყნდებოდა მისივე კარიკატურები.

მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისას სიმონიკამ სხვებთან ერთად იარაღს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ჯანმრთელობამ უღალატა, ჯარში ყოფნის პირველ თვეებში ნას სულიერი დაავადების ნიშნები დაეტყო. სექტემბერში იგი ისე ცუდად შეიქმნა, რომ მისი საავადმყოფოში მოთავსება აუცილებელი გახდა, ეს რუმინეთში ყოფნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მოხდა. სიმონიკა სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს და მას შემდეგ მისი კვალი დაიკარგა. ომის განმავლობაში ქართველებმა ვერაფერი შეიტყვეს თუ მას რა მოუვიდა. ამ უკანასკნელ ხანებში მიუნხენის რადიომ გადასცა ცნობა, თითქოს სიმონიკა შტუტგარტში გარდაცვლილიყოს. თუ ეს ცნობა რომელიმე სერიოზულ წყაროს ემყარება, მაშინ უფრო ზუსტი ცნობის მიღებაც არ უნდა იყოს ძნელი. შტუტგარტი ომის დროს არ განადგურებულა და გერმანული არქივების მეთოდურობა ცნობილია. მხოლოდ თუ ვინმე ამ საქმის გამორკვევას შეუდგება, სიმონ ბერეჟიანი არ უნდა ეძებოს. სიმონიკას მესამე გვარის ტარებაც ხვდა წილად. მის სამხედრო წიგნაკში ეწერა: - სიმონ ბ ე რ გ ″ ე რ. მას ბედმა სამშობლოს გარეთ სიკვდილი არ აკმარა — ქართული გვარით დამარხვაც არ ეღირსა.

სიმონ ბერეჟიანის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დარჩა - რომელ მიწაზე
შენი გრძნობების ნექტარი!
სად დაიმარხე ბატონო!
იქნებ ვიცოდე - ნეტავი.
რომ დავიჩოქო მოხუცმა
ვხახო ნამსხვრევი მზისანი;
გული გონების საუნჯე
ბურუსით დაუნისლავი.
მწარეა წუთისოფელი,
მპყრობელმა არვინ დაინდო,
კალმით იმარჯვე ფარ - ხმალი
შენ - ხელოვნების რაინდო!
შენი ალვის ხე იზრდება
გურიის მთებში მცინარი,
აბჯარ - ასხმული ვაჟკაცი
განთიადისკენ მზირალი.
ისე გიმსხვერპლა საწუთრომ
დრო ვერ იხილე მზიანი.
სიკვდილს სამშობლო არა აქვს,
სამშობლო - სიკვდილი არი.

გ. ყიფიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი

ისევ ის მთები! ისევ ის ზეცა!
შენს სილამაზეს ვერ შესცვლილ დრონი.
ორ ნაწნავებად გადმოიკეცა
ფარჩის კაბაზე მტკვარი, რიონი.
გავყევი მძევლად დღეს კუდიან ქარს...
როცა სოფელი იწვა ბინდებში,
ვაკოცე ღობეს, ვაკოცე ჭიშკარს
და დავიმალე სქელ სიმინდებში.

გატეხილ ხულას
დასჩხავის ყვავი,
დამპალ სვეტებზე
ქანაობს ოდა...
მე რომ ალვისხედ
გავჩენილიყავ,
შენთან დარჩენა
შემეძლებოდა!

„კავკასიონი“ 1929 წ.

მგოსანი

მე დაბადებულ ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;
ტყვიის ზუზუნმა დამავიწყა დედის ნანინა...
საბნად მეხურა სისხლიანი ნაფლეთი დროშის;
გახრწნილ გვამებში უდარდელ ბავშვს ტკბილად მეძინა.

მაგრამ ჩემს გულში იზრდებოდა მაისის ვარდი,
ზეცით დარგული და მორწყული ქართული სისხლით;
მთვარით ნაკოცნი და ქართული მზით განაზარდი,
და დაბურული ცივ გომბორის ჟანგიან ნისლით.

დავცქერი მიწას ტყვიით დახნულს და ვამბობ ასე:
უნდა მივიღო დაწყევლილი ხანა ახალი!
უნდა გავყინო ჩემში სხივი მაღალ პარნასის,
გავზარდო გულში ცივი გველი და ქარიშხალი!

გაახელს მთვარე ვერცხლის თვალებს და ყოველ ღამით,
როს ლასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,
ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს 'მხამით, ბალღამით,
რომ ჩაუნერგო საშინელი შურისძიება;

რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხვდეს ტყვიად,
რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში ყუმბარად:
და თუ ღიმილი ზეციური კიდევ მატყვია,
არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიცინი მარად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ვაქნევ სიტყვას ჰაეროვანს აწონილს მისხლით,
როს გარს მარტყია ეკლიანი რკინის მავთული!
მელნად დავსწურე ნოყიერი ქართული სისხლი,
კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!

და შხამით მორწყულ მაისის ვარდს ვდარაჯობ, ვუვლი;
შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;
რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,
რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობს ჩემი ბუკი - ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!

ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!

მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიხსნა სევდამ გულში იარა,
მზეს მივუშვირე დაჭრილი გული:
ოქროს ისრებით შიგ ჩაიღვარა
სითბო, ალერსი და სიყვარული.
შევხედე მთვარეს ობლად მოარულს
და მომაგონდა დაწყევლილთ ბედი...
და მზის სხივებით გამთბარ სიყვარულს
გადაეფარა შავი ხავერდი.
გამაგრდი გულო! რამ დაგაღონა?
შევსვათ პეშვებით შუქთა კრებული,
რომ სამარეშიც განგების მონა
არ ჩავესვენო გაფითრებული.
ნულარ ვიდარდებთ დაღუპულ გზებზე,
გვმართებს გადახდა სოფლის ვალისა:
ჩვენ აქ დავჭკნებით, — იქ ჰყვავის მზეზე,
ვარდი წითელი წინანდალისა.
დე, სატრფომ ცრემლი ვერ დაგვაპკუროს,
არც გვესმას ნანა ზურმუხტ მდელოსი ....
მაგრამ ესა მზე მთბობი სამყაროს —
ოქროს ტახტია საქართველოსი.
მთვარე სახეა მეფე თამარის;
გვირგვინად ადგას თავს ვარსკვლავები.
მთვარე მოსძებნის ჩემს ბნელ სამარეს,
გადმოეშვება ციდან მკლავები.
და მოვესწრები ცივ სიბნელეში
გამოღვიძებას ოქროს დილისა:
ჩუმად! არ გესმის ქართლის ღამეში
ლალი სიმღერა ავთანდილისა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით

ვიხილე შენი ჭაღარა მთები,
ვიხილე შენი ლურჯი ველები....
მშვიდობით, ველარ დაგიბრუნდები,
რომ დაგიკოცნო, მიწავ, ხელები.
მე მქონდა ღამე ნაქსოვი ვერცხლით
და დილით ოქრო გადმოღვარული....
მშვიდობით! გულში დღეს დამაქვს ცეცხლით
დამწვარი ტრფობა და სიყვარული.
მე მყავდა სატრფო და მარტო დარჩა....
მადლობას ვწირავ მზესა და მთვარეს,
რომ ძველებურად კოხტა ყაბარჩას
ტანზე აცმევენ ჩემ ობოლ მხარეს.
შორიდან ვუგდებ შენ სუნთქვას ყურსა!
და ამ უბედო, განკითხვის დროში
ბედნიერი ვარ , რომ ჩემს მიჯნურსა
არ გასცვეთია თამარის ქოში.
განშორებისას ვიტყვი შენს სახელს,
ქართული ჟრჟოლა დამივლის ტანში....
ვიცი ოდესმე თვალებს გავახელ
შენს წინაპართა მუხის აკვანში.

წვიმა

— ღრუბლებო, ღრუბლებო დევნილნო ქარით,
საითკენ იჩქარით ესოდენ მუქარით?! —
— მზე - ქალის ასული ხვალ ქორწილს აპირებს.
უნდა მივაშუროთ შავი ზღვის ნაპირებს!...
მოვიგდე ნაბადი და ღრუბლებს გავყევი:
ზღვა — მთები — ველები—ფერდობი — ხან ხევი...
და დილით, როცა გამომეღვიძა
ვიცანი, ვიცანი კოპწია მიწა.
მყის წამოიშალნენ ღრუბლები მზეზე...
ელავდა ზურმუხტი სასახლე მზეზე.
გარს ერტყა სამეფოს ციხე ვით ალმასი;
უვლიდა გალავანს ხევსური სამასი.
— ღრუბლებო, ღრუბლებო, მონებო ქარის,
მზე - ქალის სამეფო აქ არის, აქ არის! —
ჯაჭვ - მუზარადით, კაპარჭ - აბჯარით.
გაშალეს დროშა ფერ - თეთრ - შავ - ალის;
ყაისმა ქება დიდ თამარ ქალის
და ლურჯა ცხენზე, ვით ელვა ქარმა
ჯარს ჩაუქროლა მეფე თამარმა.
სამეფო დროშა მოჰქონდა თავად
დავით სოსლანსა, ოსეთის თავადს.
თეთრ არაბულზე ვიცანი მგონი
მგოსანი შოთა ბაგრატიონი.
ვხედავდი ნათლად, მჯეროდა როდი...
და სიხარულის ცრემლით ვსტიროდი.
და... წვიმის წვეთი, ვით ცრემლის ხაზი
დააჩნდა თამარს ლალის ლოყაზე...
მომინდა მათთან მეც ახლოს მისვლა.
სასახლის ბალზე დავეშვი ნისლად...
ვსთქვი, თუ მოვისმენ წინაპართ ჰანგებს;

ვიხილავ ავაზს და ფარშავანგებს...
და როცა მიწას ხელი შევახე.
ოჰ, არ მენახა, ნეტა, რაც ვნახე!
ძველ სასახლიდან თურმე რა დარჩა:
მძიმე ლოდები და მჭკნარი ბალჩა.
შავ ხალიჩებზე დაყრილან მთები,
როგორც დაღლილი გოლიათები.
მარაბდის ველზე ხმალი ვიხილე,
დიდ მოურავის, გადატეხილი.
დახოცილ ხევსურთ ჭრილობა აზის:
არაბთა, თურქთა და შაჰ - აბაზის...
ვიდექ მარტოკა ველზედ მწუხარე...
იჭექა ზეცამ... და ხმა მქუხარე
მე შემომესმა:
„შენს მამულს, ქართველო, უფალი იცავს!
ემთხვიე მკერდით ნოყიერ მიწას.
დახოცილ ლომებს შეასხი ქება!
საქმენი მათი არ იკარგება.
ძველ ნანგრევებზე ვერ ამჩნევ ქოხებს?
იქ, ხმლის მაგიერ, ლესავენ თოხებს.
მაგრამ, მამულის საყვირზე ხვალ - ზეგ
თოხებს შესცვლიან წინაპართ ხმალზე.
დიდი წარსული, ძველი დიდება
განმეორდება, განმეორდება“!
და მეც იმ დღიდან ციური ხმები
თან დანაქვს გულში, ვით ბასრი ხმლები.
სძინავს ბნელ კოშკში მზე - ქალის ასულს...
და მე ღრუბლებში ვსტირი, თან ვმღერი:
წვიმს... და ეცლება გოლიათ წარსულს
ხავსი და მტვერი.

„თეთრი გიორგი“ 1930 წ.

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

როცა მოვკვდები, ჩამაცვი ჩოხა,
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით;
ჩემ სამარეზე გაშალე ნოხად
მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით.
ამიგეთ წესი ზურნით და ღვინით....
ნუ დამაბკურებთ ცხელსა ცრემლებსა,
ნუ შეაწუხებ. ქალო, ქვითინით
კოხტა გორაკებს. ლამაზ ველებსა.
შავს ნუ ჩაიცვამ, თმას ნუ გაიშლი,
ნულარ ღაიმტვრევ სიმწრით ხელებსა.
ბნელსა ორმოში დამტოვე მარტოდ,
ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა .....
ცელქი ნიავი ობოლს გამართობს:
ზღაპრებს მიამბობს ლეშს მწუხარესა.
მიწა ვიყავი, მიწად ვიქცევი ....
დავუბრუნდები მშობელ მხარესა.
ჩემი გულისა და ტვინის მტვერი
განიფანტება მინდვრად, ველადა;
ქარი წაიღებს ჩემს ფერფლს სიმღერით,
გამოადგებათ ბაღებს თესლადა.
დასწურეთ ვაზი და შესვით ტკბილი
და ჩემი ფერფლი ერთი ხელადა.
„კაცი კვდებაო“! — ნეტა ვინა სთქვა;
მაშ რაღა არის ყვავილთ ცხოვრება?!
თუ არ იმათი ფშვინვა და სუნთქვა,
ჩვენი ცხოვრების განმეორება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ ლ ი

განიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა.
ჩემმა მშობელმა ჩემი გული გულთან ატარა.
რო დავიბადე და ვიგრძენი მშობელი დედა,
უმანკო გულში დედის გულმა ღრმად ჩაიხედა.
დღემ მოგცა ხილვა სინათლისა; წაგართვა ღამემ.
მზემ სიხარული გიანდერძა და სევდა მთვარემ.
მაგრამ იმ მიწამ, მშვენიერმა, მე რომ გამზარდა,
მითხარ, რა მოგცა, ჩემო გულო, ცრემლების გარდა?
შენ გყავდა სატრფო: ძმად - ნაფიცი და მეგობარი,
მაგრამ მიყვარდა მხოლოდ შენთან მე საუბარი,
ჩემო პატარა, შენზე უკეთ არავინ იცის
გრძელი ზღაპარი სევდიანი მშობლიურ მიწის.
და ერის სევდა, ერის ცრემლი, ვით ცხელი ტყვია
მე დამაქვს გულით და ჭრილობა მძიმე მატყვია;
და ვერვინ ვპოვე, რომ გამბანოს სათუთად წყლული,
მაგრამ მაინც ძგერს ძველებურად პატარა გული.
ოჰ, ხშირად მიმძიმს დაწყლულებულ გულის ტარება!
მაგრამ ჯვარცმაში არის ოხვრაც და ნეტარება.
რით გადავუხდი ჩემ მეგობარს ესოდენ ამაგს,
როს მძიმე ჯვარი გოლგოთისა მე რწმენით დამაქვს.
განიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა.
იმღერე გულო, დაკარგულო უცხო მხარეში,
რომ ჩავესვენოთ მზის დიდებით ბნელ სამარეში!
იტყვიან: მოკვდა, იქცა მიწად. მაგრამ ეს გული
იცოცხლებს მუდამ, ერის გულში გადანერგული.

ᲒᲣᲠᲘᲐᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავალე კარი, ნუ მიცქერი მეგობარს მტრულად,
თვალს ნუ მარიდებ, მშვენიერო, მომეცი ნება,
შენს მთებს, შენს ჭალებს მივესალმო მე ძველებურად:
ბახმაროს ნისლში გავახვიო ტკბილი ოცნება.
როგორ, არ გესმის ჩემი სიტყვა? მეძახი ფირალს?
ზამთრის ბუხართან მეოცნებეს, წარსულზე მტირალს!
ხო, მართალი ხარ! მიყვარს ყანწი, ჩხავერი!ს ღვინო,
თავზე წაკრული ყაბალახი .... ხელზე — მიმინო.
ახალ ცხოვრებას რომ აშენებ, მეც მითხრეს, ვიცი.
გინდა რომ მისცე საუკუნო ხსენებას ძველი.
მაგრამ მერწმუნე, რომ იქნება ახლის დამცველი
ჩვენი მამიას „ალავერდი“ და მისი „ფიცი“.
ნუ მიჯავრდები! ვერ გაიგებთ ძველები ახლებს.
კვლავ თუ მელირსა შენი ხილვა, მომეცი ნება:
ვესროლო თვალი სევდიანი ჭვარტლიან ქარხნებს...
ბახმაროს ნისლში გავახვიო ძველზე ოცნება.
მაგრამ თუ ჩემთვის დახშულია ოდის კარები,
თუ კი ცოცხალი არას გარგებ, მიმიღე მკვდარი.
ჩემო ბატონო, ჩემ საფლავზე, გემუდერები,
ააშრიალე დიდი მუხა და კოინდარი.
და როცა დღის ხაშმს შესცვლის გრილი, ლურჯი საღამო
ამოვა მთვარე, ატირდება ჭალაში ტურა,
მომინახულეთ, სთქვით სიმღერა ტკბილი, საამო:
ჩვენი „ნადური,“ „ოთხი ნანა,“ „ხასანბეგურა.“
თუ სიცოცხლეში არ მელირსა უცხო მხარიდან,
რომ მეთქვა შენთვის სიტყვა მკვერცხლი, სიტყვა
მახვილი,
ნულა დამიშლით, გურულებო, მუნჯ - სამარიდან
მეც გაგაგონოთ ჩემი ბანი, ან მოძახილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე რ ც ხ ლ ი ს წ ყ ე ვ ლ ა

— ნუ ანგრევ. ბიჭო, მერცხლების ბუდეს!
მეუბნებოდა ხშირად გადია.
— თეთრ - გულა ჩიტი სადღა დაბრუნდეს,
როცა სახლ - კარი არ აბადია... —
მე მყავდა ჯოხის მფრინავი რაში,
კეთილ დედაკაცს ვუსმენდი როდი,
მოუსვენარი, ჯიუტი ბავშვი
ალბად არ ვიყავ გულით ბოროტი.
ისევ მოფრინდნენ ჩიტუნები
და გაზაფხულის გაისმა ქება...
როგორ დავლონდი, რომ არ ინებეს
ჩვენს აივანზე ბუდის აგება.
მენატრებოდა მათი ჟღურტული
და ცრემლი მადგა თვალებზე წყვილი.
გადიამ მითხრა სიტყვები რთული:
— მერცხლებისაგან ვართ დაწყევლილი!
მონატრებული, მოხუცო ტკბილო!
როცა გესტუმროს მგზავრი ზეციდან,
განსვენების ჟამს ჩაიცვი თბილად,
რომ სამარეში არ გამციოვდე.
მოისხი მხრებზე შალის თავშალი,
ჩაიცვი მატყლის სქელი წინდები.
ერთხელ საწოლიც ვერ გაგიშალე,
ამისთვის, ქალო, ნუ დაღონდები.
მე მჯერა, მჯერა, შენს თავსა ვფიცავ.
მათ, ვინც დავკარგეთ, ვინც დაგვეხოცა
მხოლოდ დროებით აყრიათ მიწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, დაქანცული მოხუცი როცა
დაგიბრუნდებით, გიხილავთ ყველას,
ყურს ნუ დაუგდებ მერცხლების წყევლას!
თუ იმედებმა დაიგვიანეს,
გულს ხომ აცოცხლებს მზის სიყვარული.
უძირო ზღვებსა და ოკეანეს,
როგორც მტკვრის ტალღებს, გავსჭრი მხარულით.
დავუბრუნდები დაქცეულ კერას,
როგორც ფირალი გაჭრილი მთაში.
კვლავ გაგაგონებ ჩემ გულის ძგერას,
თავს რომ ჩავუდებ ველებს კალთაში.
დაინთებს ღამე ზეცაში ცეცხლებს,
ჩაწვება მთებში დევთა ზღაპარი...
შენ მეტყვი: შვილო! თეთრ - გულა მერცხლებს
ამ ქვეყნად არ გაქვთ თავშესაფარი! —
გადავიქცევი მერცხლად მეც მაშინ,
გაჰყვება ზღაპარს ჩემი სახელი....
მაგრამ ნოყიერ და ძველ მიწაში
დაითესება ცრემლები ცხელი.
და შემდეგ ვარდებს, ამოსულს გზებზე,
დაიჭკნობს გულზე ჩემი მამული
და ამღერდება ამაყად მზეზე
ახალგაზრდობა აბჯარასხმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ზ ზ ა ვ რ ი

1.

წამიქცევს ქარი ეზოში მუხას,
წარეკავს გიჟი მდინარე ჭალებს.
დავანთებ კოშკში ძველებურ ბუხარს
და ცეცხლი წარსულს ააშრიალებს.
გამოვიარე გზა სევდიანი...
კოშკში დავეძებ დღეს თავშესაფარს,
და დედაბერი ბრმა, კუდიანი
ჩემ ცხოვრებიდან მიამბობს ზღაპარს.
და მე არ ვნანობ, რომ მეფის შვილმა
შუბი გასტეხა ბრძოლაში ქართან,
დამარცხდა ჯარი, არ არის შველა....
და ღონე მიხდილს სძინავს ბუხართან.
იწვის ბუხარი, ყურს უგდებს ზღაპარს....
ხალიჩით ნაფენ ძველ სავარძელში
ზის საუკუნე. ჰგავს ჩემს წინაპარს,
ფეხმოკეცილი ჩიბუხით ხელში.

2.

დაიბადება მთვარე ახალი
და ზეცა ღრუბლებს გადაიფარებს.
სეტყვა, გრიგალი და ქარიშხალი
ეომებიან გალავნის კარებს.
ვიყავი მეფე და ვგავარ ზღაპარს,
მოვკვდები ისევ გამეღვიძება.
ძველ კოშკებიდან ავანთებ ლამპარს
და მზეთ - უნახავს ჩავესიძები.
ეჯიბს ვუბრძანებ: დამაკლდა ხედვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიდრე ღამემ თმებში გამაბა.
მომგვარეთ კვიცი, მკვირცხლი უხედნი
და საქორწილო მომართვი კაბა.
არც სინანული, არც თავის დახრა....
ზეცამ მარგუნა ეს ბედი წილად:
უძლური მეფე ქარში უმაყოდ
მივემგზავრები დღეს საქორწილოდ.

3.

თაფლის სანთელი, შავი ხატები.
„თქვენ მოგაშურებს ჭირში ყოველი.
„მძიმედ დაჭრილი დავეხეტები....
„დამლოცეთ თქვენგან შველას მოველი."
„ჩემი ბავშობა გახსოვს მარიამ?
„თეთრი ხელებით გთხოვდი შენდობას.
„დღეს კი ისეთი ცუდი დარია.
„რომ ჩავეხუტეთ ქსელში ობობას."
„ნუ დამაბრუნებ გზიდან უკან მე.
„დე, ვერ გიხილო სასუფეველში,
„ოლონდ არ ვიჯდე ვით საუკუნე
„ფეხმოკეცილი, ჩიბუხით ხელში."
— ამინ — იძახის ბრმა კუდიანი
და გამხმარ ხელებს ჰაერში არწევს ....
და მეც გადავკრავ მგზავრი გვიანი
მოწამლულ ღვინით ავსებულ ყანწებს.

4.

მარტოდ ვარ, მარტოდ... დარბაზში ბნელა.
ბუხარში ბჟუტავს მუგუზლის ალი...
უცებ ვილაცამ ყრუდ ჩაახველა.
ხმა შემომესმა დინჯი, დაბალი:

„სად მიხვალ შვილო? ქარი ჰქრის ავი.
ღამეა ბნელი, გათენდეს დილა.
გზებს დასწოლია ნამქერი, ზვავი...
მომიჯექ გვერდით, ბუხრის პირ თბილა.“
— მშვიდობით! გესმის, მეძახის ქარი
და, შეკაზმული ჭიხვინებს ცხენი,
ნუ მოიგონებ წყეულით, მუქარით,
როს გაგიმწარდეს მოხუცსა დღენი.
სევდიან თარზე ვერ აატირებს
ძველებურ ჰანგებს შენი პოეტი.
ველარ მოიტან შინ ნანადირევს:
გაგექცა ქორი და კაპოეტი... —

5.

ჩემო მერანო გადიქეც ქარად!
გაჰკაფე მკერდით ტყენი უვალი,
სად მამამ ბრძოლით დღეს გაიარა,
გაივლის მედგრად ხვალ მომავალი.
დალპეს, გაიხრწნეს ცხოვრება ძველი,
ცრემლი აპკუროს მიწას ავდარმა!
სიტყვა ახალი, ძველის შემცვლელი
უნდა სიკვდილში ჰპოვოს მხედარმა.
გადაიარა ველები ფრენით,
უცნობი ზეცა, უცნობი მხარე....
ასე მიჰქროდა განწირულ მერნით,
ვინც ნიავს მისცა ფიქრი მღელვარე.
და ბედის წყევლა ჩვენ გვმართებს განა,
თუ გვჯერა ზეცა კვლავ ირაჟრაჟებს?!
გამოუგზავნის მზე ბნელ ქვეყანას,
ახალ რაინდებს, აწყვეტილ რაშებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

მოაცურებენ ღრუბლები ნავებს....
გადმოეშვება ზეციდან გზები....
და გაიშლიან ოქროს ნაწნავებს
ღამეში თეთრი ანგელოზები....
და ვხედავ, ვხედავ: გამოჩნდა გზაზე
ცხენოსანთ გუნდი, მესმის მაყრული.
მოჰყავს მეჯვარეს ასული ნაზი,
ჩემი ოცნება და სიყვარული.
მაგრამ დიდია ცამდე მანძილი...
მოველი სატრფოს და ვითვლი წამებს,
ველი, სულ ველი, მერევა ძილი...
თოვლი მიკოცნის დაღლილ წამწამებს...
რომელი ცხოვრობს ეხლა ჩვენ ორში?
დღე მზის თვალებით ჩემში ვის ხედავს?
ბედნიერ მეფეს თუ სველ მინდორში
გაყინულ ცხენზე უსულო მხედარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო უცხოეთში

ყანაში კალთით შეიშრო ოფლი
და ამოაგდო თოხით ბალახი;
ჰაერში ოხვრა დაჰქროდა სოფლის
დახეულ ჩოხით და ყაბალახით.
მოსჩანდა ღელე, თხმელები, ოდა,
ნალია მზეზე დამწვარ ყანებით;
და საცვეთებთან დასეირნობდა
უხეში ჩექმა დედის გინებით.
მე ხშირად ვფიქრობ: გაირბენს წლები
და მეც დავტოვებ ცივ დიასახლისს;
უცხოეთიდან გადვიმალები
და დავაწვები სოფელში სახნისს.
ნეტავ ვიცოდე: გრილი ჭადარი
თუ ამიწეწავს სიყვარულით თმებს?
შავი მურია ნეტა სად არი?
იქნებ აშინებს მეზობლის ქათმებს.
გაირბენს წლები ძველებურ წესით
და დახავსებულ წისქვილის ქვებთან,
გათეთრებული, ვერცხლის ანკესით
რომ ვითევზავებ სოფლის ბიჭებთან?
და უცხოეთის ქარის ნავალში
ასე იცვლება ამ ფიქრთა ჯარი:
მოვა წარსული მოკლე შარვალში
და შავი ქალი გატეხილ ჯვარით.
და ქალი ამბობს: ხედავ ამ ცრემლებს?
შენი სამშობლოს მომავალია.
წარსული თვალზე იფარებს ხელებს,
მეთამაშება კუკუმალიას.
როგორ დაბნელდა! ჩემი ოთახი
აივსო ღამის მძიმე ფიქრებით.

ბევრჯერ მყავს ღამე ჩემთან ნანახი
და ვგრძნობ, რომ დღესაც ერთად ვიქნებით...
პირველი თოვლი დაეცა ქუჩებს.
პირველი თოვლი მე მომაგონებს
მიცვალებულის გაყინულ ტუჩებს
და თეთრ კაბებში მორთულ გოგონებს.
როცა წარსული გარდაიცვალა,
თეთრი კაბები შევღებე შავად
და ავიყვანე ავი მენავე
უცხო ქვეყნებში მამინაცვალად.
და ყოველ დილით, მძიმე საყვირი
და ხმა მენავის მოიტანს ცნობებს,
რომ შორს დავტოვე მწვანე ნაპირი,
რომ სამუდამოდ ვტოვებ ნაცნობებს.
მწვანე ნაპირი იწვა კუბოში,
და როცა ნავმა ფრთები გამართა,
დამარხეს ჯვარი, ფარხმალი, დროშა,
მთელი დიდება ჩვენს წინაპართა.
წარსულს ჭრილობა ბევრგან ატყვია...
მე, მახსოვს, ზვირთებს დავადე ყური;
მესმოდა: თბილისს ვესროლეთ ტყვია
და დავუარეთ შემდეგ ლეკური.
ზვირთები მიჰყავთ თმაგაშლილ ქარებს;
დიდი მინდორი ზღვას ვანაცვალე.
გამხმარ თითებში ძვირფას სიგარებს
აბოლებს დინჯი მამინაცვალი.
კვამლი ეხვევა ქალაქებს, ჰქრება;
და ბნელ ქუჩებში მე ბევრჯერ ვნახე,
ჩემს მამინაცვალს რომ ემუქრება
წითელი დროშა, ყვითელი სახე.
ვნახე სიჩქარე და ამ სიჩქარეს
ვერ შეუფარდე ცახცახა ფრთები;
ვერ გავატანე აწყვეტილ ქარებს
გადამალული ობლად ფიქრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ქართველი ვარ და ზანტი თვალი
ვერ მოვაშორე მოწყენილ სივრცეს.
მიყვარს უმიზნოდ გზები სავალი
და მამინაცვალს ნეტა რად მიმცეს?
მამშვენებს ჩოხა, ვიწრო საცვეთი,
შეჭრილი წელი, ოქროს ქამარი
და უკან დამრჩა აღმოსავლეთი,
გამოუცნობი ჩემი სიზმარი.
მივდივარ ფრთხილად და მივადგები
გაყინულ რკინით შეჯაჭულ კარებს:
მაგრამ მაშინვე უკუ ვბრუნდები,
გული ცივ რკინას არ მიიკარებს.
და როცა წინსვლა შეიქნა ძნელი
და მეგობრობა დრომ არ ინება,
ქვაფენილებზე ველარ შევძელი
ნაბადის გაშლა და წაძინება.
და ეხლა ათოვს გაყინულ ქუჩებს,
და როგორც მორცხვი ჩუმი მონები,
როგორც პირველი კოცნა ცხელ ტუჩებს,
ესტუმრნენ ოთახს მოგონებები.

ემლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილს ელოდა
ემლო ელოდან.
ელოდა, ელოდა
წერილს ემლო ღა
თანაც მღეროდა:
— რა ვქნა, რა გახდა ლიონიიი,
რატო არ მოდის ფო-ტალიონიიი...
ერთ დილით
დაღლილი,
გასვრილი მტვერში
სამუშაოდან დაბრუნდა ოტელში.
— მუსიო, ვოტრ ლეტრ!
კი ვერ გაიგო,
გარდა მუსიო - ს, სიტყვა ვერც ერთი.
წერილი აიღო.
გაწითლდა... მიხვდა: — წიგნია ელოს!
უთხრა: მადამჯან, ღმერთმა გიშველოს!
დაუკრა თავი და
ოთახში ავიდა.
ხელ - პირი დაიბანა.
მოიშორა ქანგი.

ჩაიცვა ახალი პერანგი.
სარკეში ჩაიხედა:
ულვაშები დაიგრიხა,
ქოჩორი გადაივარცხნა.
უცემს მაგრად გული!
წერილი გახსნა:
... წერილი ფრანგული!?
— მადამ ჯან, მადამ ბიენ!
ოჰ, მუსიო, ილ ნი ა რიენ!
ნე ფეტ - პა - სა - ატანსიონ,
სეტ იუნ პეტიტ კონტრიბუსიონ.*)

— — — — — — — —

ერთ საღამოთი,
(იქნებოდა საათის ათი,)
გასვრილი მტვერში,
ერთავად თეთრი
დაბრუნდა ოტელში.
— მუსიო, ვოტრ ლეტრ!**)
წერილი აიღო.
— წყალმაც წაიღო
თქვენი ფრანცია!
— მადამ ჯან, ტუჟურ კონტრიბუცია?!***)
შევიდა ოთახში.
ლოგინზე გაითხლარშა.
ელექტრონი აანთო და
წერილი გახსნა ზანტად:

---

*) ქალბატონო - ჯან, კარგო ქალბატონო!
ოჰ, ბატონო! ეს არაფერია, ნუ აქცევთ ყურადღებას, ეს არის პატარა გადასახადი.
**) თქვენი წერილი ბატონო!
***) ყოველთვის გადასახადი!

„ქმარო ჯან, მამა საყვარელო, ემლო ძვირფასო!
ცრემლით დასწერა შენმა ელომ ყოველი ასო.
ეხ, სამართალი არ არსებობს ჩემთვის ზეცაში!
რად დაგვაობლე, რითვინ წახველ ზაგრანიცაში?
იშტა, მერჩივნა დაგემარხე ცოცხლად მიწაში.
გითვლის სალამსა შენი შვილიც, პატარა ილო.
სულ მეკითხება: სად წავიდა ჩემი მამილო?
გულს ნუ გაიტეხ, ჩემო ქმარო, არ გვწყალობს ბედი,
მაგრამ ამ ბიჭს გამოგიზრდი, გქონდეს იმედი.
სხვა - რა მოგწერო მუდამ წამს და ჟამს სანატრელო.
გწერს შენი ელო."
„ემლო, ჯან, ემლო! რომ წამოხვალ შენ გენაცვალე,
ორ - ორი ხელი წამოგვიღე ნარმის საცვალი.
ტანთა არა გვაქვს, ტიტლიკანებს გვწყურია, გვშია,
მეწველი ძროხაც კი წაასხეს კოლექტივშია.
აწ კი მშვიდობით თვალის ჩინო, ძმავ საყვარელო.
შენი და პელო."

ელოდა, ელოდა
წერილს ემლო და
ნეტავ არ მიელო!...

ᲣᲠᲛᲣᲚᲘ

მე დაუბრუნდი საყვარელ მხარეს,
საყვარელ ჭალებს,
საყვარელ ველებს
და ვიგონებდი იმათ სახელებს,
რომელთაც მიწა ვერ მივაყარეთ....
და სევდა
გულს არხევდა,
მიწვავდა თვალებს.
მყინვარზე იჯდა მთვარე ახალი,
როგორც ერეკლეს დამასკის ხმალი.
ეძინა სოფლებს
და ჭირისუფლებს
ჰქონდათ სიზმარი:
ზოგს დაუბრუნდა შვილი, ზოგს ქმარი,
ძილში ალერსი და საუბარი....
ესიზმრა კეკეს:
....რო საქონელი მინდვრად გარეკეს,
იყო ზაფხულის ღაჟღაჟა დილა.
ურმის კოფოზე მიხას თანდილა
არხევდა მზეზე განიერ ბეჭებს,
უტყლაშუნებდა სახრეს კამეჩებს...

და სევდა
გულს არხევდა.
არც ძმა ამ ქვეყნად, არც მეგობარი.
იქ, სადაც ნინომ ჯვრად შეჰკრა ვაზი,
ცრემლმორეული დავეშვი ქვაზე.

„რა ლაშაზი ხარ, დედოფალო, როგორი ნაზი!
რა რიგ ამშვენებს შენს ყაბარჩას თოვლის გვირგვინი!
შენი მიწები მორწყულია კახური ღვინით,
მაგრამ, ვაი, რომ მწიფე მტევნებს ასპიდი აზის.“
„ხმალმა დავითის მოგცა სული, თამარის ხელმ.
ოქროს აკვანი დაგირწია, სათუთად გზარდა;
უნდოდა ქალი აეზარდე დაუჭკნობ ვარდად,
მაგრამ, ვაი, რომ სათუთ მკერდზე გიკბინა გველმა.“
„მაინც ვარდი ხარ დაუჭკნობი! მინდა შეგამკო....
მაგრამ უენო შენი შვილი რას გეტყვი, რასა?
ოდესღაც მეფევ მბრძანებელო და დღეს კი ხასა
რა რიგ გამშვენებს ეს გვირგვინი თეთრი, უმანკო!?
იწოდა ოქრად მოჭედილი მაღალი ზეცა.
ეძინა მიწას მთვარის შუქზე, სდუმდა ყოველი.
მხოლოდ მხურვალედ ლოცულობდა სვეტი ცხოველი
და .... ჩემი ცრემლი მოსწყდა ზეცას და შორს დაეცა....

მე დავუბრუნდი საყვარელ მხარეს
და ჩემი ქვეყნის ნიავი გრილი
არხევდა წყნარად ფიქრებს მწუხარეს,
არხევდა ველებს, არხევდა ჭალებს....

— — — — — — — —

სადღაც ურემმა დაიჭრიალა.
გაუტყლაშუნა მეურმემ ხარებს
და შემოსძახა ურმული ტკბილი.
მღეროდა გლეხი მყუდრო ღამეში.
როგორც დაჭრილი, ობოლი გედი,
მაგრამ ანკარა, სევდიან ხმაში
იყო დალხენაც, იყო იმედი:
მღეროდა გლეხი: მიეალ ალზევანს,
მარილს მოვიტან, მარილსა ბროლსა
და ბედნიერი გადავეხვევი
ჯერ დედას, შემდეგ შვილსა და ცოლსა.

ვსთქვი: თუ იმსხვერპლა ასე უდროოდ
მშობელმა მიწამ საუნჯე ერის,
რად არის ღამე ასეთი მყუდრო
და უდარდელად გლეხი რად მღერის?
უცებ დაჰქროლა ნიავმა ქშენით,
გაცურდა ცაზე თეთრი ღრუბელი
და თეთრ ღრუბელში ისხდნენ მოწყენით
ანგელოზები და ღვთისმშობელი....
ვიგრძენი შვება, განათლდა გული.
ვსთქვი: კვლავ იმეფებს ჩემი ქვეყანა,
თუ გლოვის ნაცვლად მესმის ურმული,
თუ გმირთა ძვლებზე ბიბინებს ყანა.
მადლი უფალსა! ამ კუთხის გამჩენს!
ზეცაში ცხოვრობს დიდი მსაჯული.
იმღერე გლეხო! ჩვენ გადაგვარჩენს
შენი „ჰარალე“ და „კრიმანჭული!“

„თეთრი გიორგი“ 1934 წ.

შ ე ფ ი ც უ ლ ე ბ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ამბობთ: „მოკვდა!
მივაბარეთ დღეს უცხო მიწას.
არ გვყავს ქაქუცა,
დაგვიობლდა შეფიცულთ კერა.“
შეფიცულებო,
ნუ ქვითინებთ, თქვენს თავსა ვფიცავ,
ეს ტყუილია.
არ მომკვდარა. მე ეს არ მჯერა.
არ დაიჯეროთ,
რომ დაჭრილი ვაჟას არწივი
გამოესალმა
მთის მწვერვალებს დღეს სამუდამოდ,
რომ მის მაგარ ფრთებს
ზედ დაადეს ლოდები ცივი.
არ დაიჯეროთ.
ტყუილია, მტერს არ აამოთ.
მე ამას ვამბობ.
და ეს მე მჯერა. ვამბობ იცით რას?
დაჭრილმა მკერდში,
დაქანცულმა ბოლოს ინება,
ნაბადის გაშლა
რბილ მწვანეზე, დიდ მუხის ძირას

და — — — — — — —

— — — — — — — მიძინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სძინავს, სძინავს
მეფურ ძილით საყვარელ ბელადს....
ჩუმად... ნუ სტირით...
მოვასვენოთ გუშაგი ერის.
ჩვენი მამულის
ულრან ტყეში, მთაში და ველად
კვლავ გავიგონებთ
ამღერებას ცხელ მაუზერის.
თქვენ კი, ყვავებო,
მთის არწივი გგონიათ მკვდარი,
თავს ნუ დასჩხავით, —
გინდათ ლეში ნაკუწ - ნაკუწად?!
მალე ზარს დაგსცემთ
თეთრ ტაიჭზე მჯდარი —
ცივ სამარიდან
ამოსული ჩვენი ქაქუცა.

ს ი ზ მ ა რ ი

ვლასა იმნაძის ხსოვნას

...შევაღე კარი და პირჯვარი გადავისახე.
კუბოსთან იდგა თმაგაშლილი მწუხარე დედა.
მიუახლოედი... და შავ ძაძებს ხელი შევახე:
დედა, ვერა მცნობ? შენი შვილი კვლავ დაგიბრუნდი!
მოხუცი ქალი არ შეირხა.... არ შემომხედა...
და... „სულთათანას“ მიგალობდა ქაშვეთის გუნდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაემანი მთაწმინდაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ე მ ა ნ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ა ზ ე

ილიას დაბადებიდან 100 წლისთავზე.

— : —

ვაჟა გიყვარდა, მგოსანო,
ფშაველი ენაწყლიანი;
ენაზე უფრო უჭრიდა
ქართული მკლავი ხმლიანი.
ხელში ფანდური ავიღე,
ვაჟას ფანდური მზიანი;
ოდნავ ჩამოვკრავ სიმებსა,
არ მივაყენო ზიანი.
ქართული გუთნის მწეველნო,
სამნი ხართ სამოთხეშია:
აკაკი ალბად ოხუნჯობს,
ვაჟა გაჭრილა ტყეშია.
ვაჟას იქ არ მასწყინდების,
თუ ჰპოვა, მთა, კლდე, ხრეშია
შენ მეცოდები, ბატონო,
ვაი რა ცუდსა დღეშია!
შენ იქ რა გაგაძლებინებს,
ფესვები დაგრჩა ერშია.
შენ, ზეციერი, ჰპოვებდი
შვებასა მიწიერშია.
შაიკრიბენით ერთადა,
ფანდურსა ვიღებ ხელშია.
ყური დამიგდეთ მამებო,
დაგენაცვლებით ყელშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

სიზმარი ვნახე, ქართველნო,
არვისგან ჯერ არ ნახული.
რაც ვნახე, რაც გავიგონე
მაქვს თქვენთვის შემონახული.
ყური ათხოვეთ ფანდურსა,
სულია შიქ ჩამარხული;
ქართვლის ბედია სიმების
წკრიალში გამოსახული.
სიმღერით მინდა ვუკვალო
ბომავალს გზა დასახული.
მოჯარდით, ახლოს შემოკრბით,
გაითბეთ ამბით თქვენც გული.
მესიზმრა: თეთრი, პატარა
ლრუბელი ცაზე გაცურდა.
საღამო იყო მყუდრო და
ფოთლებს ჩურჩულიც არ სურდა.
ვიწექი, ზურგზე ობლადა...
ლრუბელი ჩემსკენ მოცურდა.
გამხვია თეთრ საბანშია,
ისევ ზეცაზე აცურდა....
სუნთქვა შამეკრა, შავშინდი:
ვშორდები არე - მარესა!
მივცურავ ზევით, სულ ზევით.
ვუახლოვდებით მთვარესა.
ვხედავთ გაფურჩქვნილ ვარსკვლავებს,
გვიღებენ ოქროს კარებსა:
გაიცინეს და სხივები
თვალთაგან გადმოღვარესა.

***

„ღრუბლებო!“ ვამბობ „ვესტუმროთ
ჩემსა მშობელსა მხარესა.
ზეცაში ყოფნას მირჩევნის,
რომ ვიწვე მის სამარესა!“
შაკრთა ღრუბელი, შაჩერდა,
შაიკრა კუშტად სახე და
ბრაზმორეულმა დაცინვით
თავით ფეხამდე ამხედა.
„ეს რა სთქვი, რა წამოროშე?“
თანც მიპასუხა მკვახედა:
„რა არის შენი სამშობლო?!
გუშინ ვესტუმრე დილითა;
ცივ გომბორზედა შამავჯექ,
დაბურვილ იყო ნისლითა;
ფერდობი, ვაკე ველები
სულ მორწყულია სისხლითა.
შახედე მუშთარს, ოტარიდს
და კაეშნიან ზუალსა,
მთვარეს, ასპიროზს, მარიხსა —
ხმლით აპობს ბნელეთს უვალსა,
მზე სამოთხეში შებრძანდა,
გვირგვინად ადგას უფალსა.“
— „მართალ ხარ, თეთრო ღრუბელო,
მაგრამ მომეცი მეც ნება,
რომ გითხრა: შვიდნი მნათობნი
არს ჩვენი ქვეყნის შვენება.
არ მოგატყუებ, მისმინე,
გამომრევია ჭალარა,
ზეცამ მშვა და თავზე უფრო
სამშობლო მე შემაყვარა.“ —

***

გაშავდა თეთრი ღრუბელი,
მკვირცხლავ ჩამაჯდა ქარზედა:
მივქრი და თავი მეგულვის
ტარიას რაშზე ჩქარზედა.
ხან ვარსკვლავთ ვუახლოვდებით,
ხან დავეშვებით ბარზედა,
ხან მთაზე წაბავსკუპდებით,
ხან გავალთ შარა - გზაზედა.
შუალამისას ღრუბელი
ჩამაჯდა გორის ფხაზედა:
ტუჩით შაეხო ბალახებს,
შასრუტა ცვარი ცვარზედა.
ცვარით წყურვილი მაიკლა,
ისევ შემოჯდა ქარზედა.
„არ გამიცივდე, ვაჟიკავ,
საბან მაისხი ტანზედა!
არ გესმით ტალღათ ტყლაშუნი!
მივცურავთ შავსა ზღვაზედა?!
საბანი შამავიხვიე,
თავი დავიდე მკლავზედა.
ჩემ ქვეყნის ნახვის მოსურნეს
ცრემლი მერევის თვალზედა.
შავარდნის ხედვა ამეხსნა,
სმენად გარდიქცა ყურია:
გამოჩნდა ჩემი ქვეყანა,
რის ნახვა ეგრე მწყურია.
აფხაზეთ - სამეგრელოი
და ჩვენი ჩქარი გურია;
აქ ცხენის - წყალი მიშხეის,
იქ — ჟუჟი, აქ — ენგურია.

ზურმუხტად შლილი ბალნარი.
ჭალები საამურია...
ჭალარა კავკასიონი ,
დევებთა სად სადგურია.
გამოჩნდა შოთას აკვანიც,
მიძინებული მესხეთი,
ოქროს ყანებზე გაშლილა
პურადი აქ ჯავახეთი.
აჰა, რიონიც გრიალებს!
იწყება იქ იმერეთი
ციხე - კოშკები ნაჭედი
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი.
ქართლის ჭირიმე ქართლისა.
აჰა, გამოჩნდა კახეთი!
მტკვარსა არაგვი ჩაჰკვრია
ფარად აკვრია ბურჯებსა
იჰ, უყვართ მათ ერთმანეთი!
ლომი თუშ - ფშავ ხევსურეთი.
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ეგეთი?!
სულ ხელის გულზე გაშლილა
ამიერ და იმერეთი.
არწივთა ბუდეს მაგონებს
ჩერქეზეთ, ქისტეთ, ლეკეთი.
შორს მეზობლებიც მოსჩანან —
— ადარბადაგან, სომხეთი!

⁂

სხვა საქართველო სად არის,
კუთხე ნაკურთხი უფლისა?!
მთვარე ქათიბსა უკერავს,
მზე ოქრომკედით უვლისა.

ხან თეთრ კაბასაც ჩაიცვამს,
ხან შავსა — ჭირისუფლისა.
სულ მუდამ კოხტა კი არის,
კვნესა მე - მისი სულისა!
„ღრუბელო საით მიგყევარ!
მეყოფა ეგ სილამაზე:
მთებთა ამაყი ჭალარა,
ველებთა ლურჯი სინაზე.“
თითქოს არც გაუგონია,
არ მიპასუხა ამაზე.
შამოვუარეთ თბილისსა,
დავეშვით ოქრო - ყანაზე.
მარტოდ დამტოვა ღრუბლებმა,
მე არ დავლონდი ამითი.

ჯერ დავიბანე ხელ - პირი
ქართული ცვარით ნამითი.
შემდეგ ბილიკზე დავეშვი,
გაჩოჩნდა მამა - დავითი.
შუალამე გარდასულიყო,
ნიავი ჰქროდა გრილია.
იწვა მთებისა აკვანში
დედის ერთგული შვილია:
თავზე გუმბათი ეხურა
ვით დედის ძუძუ ტკბილია.
გალავნის კარი შეეალე,
ვიყავი სათნო, ფრთხილია.
აქ მეგულების მხცოვანნი:
ჩვენი აკაკი, ილია.
ვიხილე მათი სამარეც
გადმამსკდა ცრემლი წყვილია.

უცებ მომესმა შორიდან
ხმა წინწილისა, დაფ - ბუკი!
გადმოეფინა ზეციდან
გზა განიერი მზის შუქი.
ავარდა მზისა შუქზედა
ოქროს მტვერი ვით ქარ - ბუქი:
მოაქროლებდა რაშებსა
ოთხი რაინდი ჩაუქი.
შავშინდი, კლდეს მავეფარე
არ ვაშკაცი, არ ჭაბუკი.
გარდახდეს ცხენთა მაუშვეს
უნაგირთ მოსართავია.
საროსა მჯობთა შვენოდათ
წვერი, ულვაში შავია;
ჯაჭვ მუზარადი ემოსათ
ლომებს ბაჯაღლო თავია;
აბჯარზე მსხვილად ესხურათ
ბროლ - მარგალიტი, ლალია.
ტანზე ემოსათ ოთხთავეს
კაბა, — ვეფხისა ტყავია.
ვამბობ: სიზმარში ხომ არ ვარ?
რა უცხო სანახავია!
ნეტავ ვინ ვპოვო ამ ქვეყნად
ლომების შესადარია?
შოთას მხარ - ბეჭსა უმშვენებს
ფრიდონ, ავთანდილ, ტარია.
ელავს ვეფხისა ტყავებზე
აბჯარი საომარია.
ჰაუ, განათდა ბნელეთი!
ოჰ, რა მზიანი დარია!

ვეფხურ მივიდნენ საფლავთან
ლომურ იშიშვლეს ხმალნია:
დაიქუხა და დაელვა!....
და მოიხარეს თავნია.
თურმე ილიას საფლავზე
დღესა აქვთ პაემანია.
ტარიამ ხმლით გადასწია
აკლდამის მძიმე ქვანია.
ვამბობ: ამასთა სად მოვა
ამირან, ყარამანია?!
გარდიხსნა ბნელი სამარე,
მამესმა შოთას ხმანია:
„გამოიღვიძე მოხუცო,
ერის გუშაგო, ილია!
მოვსულვართ: შოთა, ტარიელ,
ფრიდონი, ავთანდილია.
შენებრ გულუხვსა მასპინძელს
როდი შეგშვენის ძილია.
ასი წლის თავსა გილოცავთ,
ხელები გამოწვდილია!“

***

წამოდგა ცივ სამარიდან
მემატიანე ქართვლისა,
მნათი უმთვარო ღამეში,
მომგვრელი დღის სინათლისა:
აზრი პიტალო, დამცველი
ჩაგრულთა და სიმართლისა;
შუბლი მაღალი, გახსნილი,
მომნიჭებელი მადლისა.
ბრძანა: „ვერ ძალმიძს, სულმნათო!
ენით თქმა სიხარულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულხარ მეფე მგოსანთა,
მშვენება მზისა სრულისა.
შოგიყვანია ლომები,
დარაჯნი ქართლის სულისა.
თამარის შვილებს გესურვათ
ხილვა ძმის ბედით კრულვისა.
მადლობას გიძღვნით, მაგრამ რით
გამოვსთქვა ლხენა გულისა?!
დადუმდა, ოთხთავ მივიდნენ
და იამბორენ გულზედა.
შოთამ ჯერ გულზე აკოცა,
შემდეგ სისხლიან შუბლზედა.
ილიას ცრემლი მოადგა,
ცრემლი, თვალების ლულზედა.
სთქვეს: „მოვილხინოთ და შემდეგ
ვიფიქროთ დაკარგულზედა.“

* * *

უცებ გაისმა ღამეში
ჩუმი წკრიალი ქნარისა...
გამოჩნდა ლომი ჭალარა,
ულამაზესი მთვარისა.
მარჯვნივ ვაჟაი ეყენა,
არწივის შესადარისა.
მარცხნივ ნიკოლოზ ვიდოდა,
დამამშვენები მხარისა.
ბესიკი და ალექსანდრე,
გრიგოლ — არიფნი თარისა.
ვინ ჩამოვსთვალო, ვინ ერთი?
სულ ყველანი აქ არისა!
თითქოს გათენდა... თითქოს მზე
ღამეში ამოსულიყო.

აკაკი მღერის: „მოვდივართ!
სადა ხარ, ჩემო სულიკო?“
მათ მიეგება ილია
სახითა მომღიმარითა.
შოთა რა ნახეს, გაკვირდნენ,
გაოცდნენ ერთის წამითა.
ფეხთ მოეხვივნენ, მოსთქვამდნენ:
„ვართ ბედნიერნი ამითა!“
ჰკოცნიდნენ ლეკვნი ლომებსა,
დასდით ცრემლები ღვარითა.
ამართეს დროშა მეფისა
მთა წმიდის გალავანშია.
გაშალეს სუფრა, რა სუფრა!
ილია დასვეს თავშია.

⁂

ავთანდილ სუფრას განაგებს,
ტარიელ წვადის წვაშია.
ფრიდონი მერიქიფეა,
და შოთა ტოლუმბაშია.
სიტყვას იძახის მარგალიტს,
ვუსმენ, მაჟრჟოლებს ტანშია.
განა ქართული მოლხენა
მარტოდენ ყანწის ცლაშია?!
არ გავცვლი შოთას მოძახილს
თვით იადონის ხმაშია.
ავთანდილ გამყივანია:
ხმა შააცურა ცაშია.
ფრიდონი აკრიმანჭულებს:
შაიჭრა მტრისა რაზმშია.
ტარია დაბალ ბანს ამბობს:
დინჯად დაეშვა ბარშია....

ქვანი სმენათა გარდიქცნენ
და მკვდართა დაჰკრეს ტაშია.
ადიდეს ქვეყნის გამჩენი,
ადიდეს ქრისტეს რჯულია.
ხოტბა შეასხეს წარსულსა,
ერთიც რამ იყო თქმულია:
— ვეღარა აღსდგეს ივერი,
თუ ერი დაქსასულია.
თუ ერთ ჰანგზედ არ მღერდა.
მამული დაკარგულია.

***

ბევრი რამ იყო იქ თქმული.
ყოველი სიტყვა განძია!
შოთამ ააცსო პირამდე
ატენის ღვინით ყანწია:
„შვიდასი წლისა ზეიმზე
მოგელისთ ყველას ვარძია!"
(ხალხნო, ხომ გესმით რა ბრძანა?
ხმა დავარხიოთ ერშია —
ვეძიოთ შოთას საფლავი
ვარძიის მონასტერშია).
ილიამ ჰკითხა ვაჟასა:
„რაზედ ხარ მოწყენილია?"
— შველის ნუკრი ავად გამიხდა.
ჩემო ბატონო ილია.
აქაც ვერ ვპოვე წამალი.
ვერც საიქიოს ბალშია.
გული ცრემლებით მევსების.
ვბრუნდები სახტად სახლშია. —

**
*

ილიამ ჰკითხა ტატოსა:
„რაზედ ხარ მოღრუბლულია?“
— მთაწმიდის დანახვაზედა
გამეხსნა ძველი წყლულია.
დატანჯულ ყრმასა მიყვარდა
აქ ხშირად სიარულია.
აქედან ცად მიილტვოდა
ჩემი ობოლი სულია.
ამ ქვეყნიურსა შვენებას
მიკვირს, რად დავდე წუნია?
სამოთხეშიაც ვერა ვძლებ:
არ მესმის მტკვრის დუდუნია.
ილიამ უთხრა რაფიელს:
„მოწყენა, ე, რა წესია?“
— წაართვეს ჩემსა თანდილას
რაც უხნავს, რაც უთესია.
ნეტაი კი ელირსება
ცხოვრება უკეთესია?! —
ეს სთქვა, შეხედა თვალებში,
ხელიც დაადო ხელზედა:
„მითხარ, ილიავ, რად გცხია
ეგ სისხლი საფეთქელზედა?“
— მე და ზაქროი ვიყავით
სანადიროთა ტყეშია,
უკან მომდევდა ერთგული,
თოფი ეჭირა ხელშია.
გავარდა... და მისი ტყვია
ჩამაჯდა საფეთქელშია.
ვითომ და განგებ მოვეკალ,
დაირხა ხმა სოფელშია.

ამას მე არ დავიჯერებ,
რაფიელ თავის დღეშია. —
(ხალხნო, ეს რა გავიგონე!?
ეგრე სთქო თავის პირითა —
ჩემს სისხლში ზაქროს ბრალს ნუ სდებთ,
ჩემს ბედსაც ნუ დასტირითა.)
ილიამ ჰკითხა აკაკის
მომღიმარ, მომცინარესა;
მაღლიდან რო დასცქეროდა
ცა - ფირუზ, ზურმუხტ - მხარესა:
„რაზედ დაფიქრდი მგოსანო?
ახალს რას მეტყვი მე, რასა?
მითხარ, თუ ამჩნევ ცვლილებას
ჩამქრალ ეროვნულ კერასა?“
— ბევრი ბრძოლებით დაქანცულს
ქაჯნი ვერ უქმნენ ვერასა.
“ჩვენ ჩვენი თავი გვეყუდნეს“
ამბობენ შენ სიმღერასა.
გული დღეს დადუმებული,
დაიწყებს ისევ ძგერასა.
ილიამ უთხრა მამიას:
„გრიგოლსა ჰკითხე მამია:
სამოთხეში თუ სჭირდება
რუსული მოსასხამია?“
გრიგოლმა გადიხარხარა:
— ჰოჰ, შენი ენა შხამია!
რასა იქმ, ვეჟო, მარგალიტს
გადაჰკრავს ხშირად ნამია.
ქართულ გზის გასაკაფადა
მტრის მესხა მოსასხამია.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიცინეს და გალაღდნენ,
ერთმანეთს იამბორესა.
ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი.
ბევრი რამ მოიგონესა.
დამატკბეს ტკბილი ქართულით
და თანაც დაშალონესა.

❦

ილიამ ჰკადრა ძმათ ნაფიცთ:
„შოთამ გიკურთხათ ჯანია!
რას მეტყვით? როგორ დავიხსნათ
ტყვედქმნილი დარეჯანია?"
ფრიდონ თქვა: „ერთი ნახტომით
ავიღებ ნარიყალასა."
ავთანდილ ამბობს: „დევ - გმირო,
ხერხი სჯობია ძალასა.
ჯორს გადავკიდებ აბჯარსა,
ჩავიცვამ ვაჭრულ კაბასა.
შევეტყუები და ქაჯებს
დავსხეპ ხმლით ვით ცხვრის ფარასა."
ტარიელ ამბობს: „ლომნი ხართ
და არც მე ვგევარ ქალასა,
ერთად გავსხლიტოთ ცხენები,
მე ამას გირჩევთ ამასა.
თანაცა ვთვალოთ, ვინ რამდენს
გააპობს თავის ქალასა."
შოთას შეხედეს სამთავეს,
განმარტოებით მდგარია.
ფრიდონ თქვა: „ვაჰ მე რა მოსდის?"
მივლენ ავთანდილ, ტარია.
ჰკადრეს: „რადა ხარ დალრეჯით?
რადა გაქვს გული მკვდარია?

ვაჰ, თუ არ მოგწონს, სულმნათო,
შენ ჩვენი საუბარია!“
გაილიმა .... მათ მოჰფინა
მზის შუქი უებარია.
ვფიქრობ: მგოსანსა რა უგავს?
ეგ ამირ - სპასალარია!
ბრძანა: „რად მკადრებთ მაგ სიტყვას?
წყენა რა მოსაჭორია.
ვიცი, გწადსთ ომი ფიცხელი,
ჰა, ბურთი, ჰა მინდორია!
მეც თქვენებრ მიჭრის მხარ - მკლავი,
ლეკვი ლომისა სწორია .....
მაგრამ არ მიყვარს სიფიცხით
საქმენი ანაწონია.
ნუ მიწყენთ, ჩემო ლომებო!
წყენა რა დასაჯერია.
მე თქვენი ვცანი გმირობა,
მეც თქვენებრ ხრმალი მჭერია.
ზოგჯერ სიფიცხით დაშავდეს,
ზოგჯერ მიხტომაც ჯერია.
მარტონი ვერას გავხდებით:
ვერ იქმს ერობას ერია.
ჯიქურ მისვლასა არ გირჩევთ,
სჯობს რომ გავიდეს ხანია.
ლოდინით არ დაშავდების:
წამოგვეზრდება ყრმანია.
თამარის აბჯრით შევმოსოთ
მეფე ერეკლეს სპანია.
ციხე შიგნიდან ავიღოთ,
ველვაროთ სისხლისა ტბანია.“

ფრიდონ თქვა: „ვფიცავ შენსა მზეს
ჩვენი სთქვი მოსახსენები,
მაგრამ გონიერ სიტყვებსა
ხშირად წინ უსწრებს ენები“
იცინეს, გახსნეს ბაგენი,
ბროლ - ვარდით დანაშვენები.
და როს მყინვარი ვარდისფრად
შელება შუქმა დილისმა.
გაიყარნენ, არ დასცალდათ
ახალი სუფრა, დილის სმა.
გული დამეწვა, აეტირდი ...
ამოიოხრა თბილისმა.
სიზმარი ვნახე, ქართველნო,
არვისგან ჯერ არ ნახული,
ოთხი ვეფხის კლდე მეზმანა
სალ კლდეზე გამოსახული.
ქუსლი ჰკრეს .... ცაში ასტყორცნეს
რაშები ყარაბახული! ...

***

გასრულდა ესე სიზმარი
არვისგან განაგონია....
თვალებს ვახელ და თავი
მაინც სიზმარში მგონია.
ფანდურო, ჩემო ფანდურო,
რაზედ ხარ დანალონია?
ჩვენ წინაპართა ჰანგებმა
შეგასხეს ფრთები, ლონია.
წარსულის მაგალითებზე
თვით გამონახოს ფონია.

ვაი ერს, — თუ სიზმარშიაც
არრა აქვს მოსაგონია!
ვაი ერს, — თუ გამარჯვება
სისხლით არ აუწონია!
ვაჟკაცი მნახო, ვტიროდე,
მაშინ ვარ მოსაწონია.

1937 წ. 26 ნოემბერი.

მოგონებანი ვაჟაზე

ათი წლისა თუ ვიქნებოდი.... ქართული ენის მასწავლებელი და თანაც ჩვენი კლასის დამრიგებელი, ჩვენი საყვარელი ლუარსაბ ბოცვაძე შემოვიდა კლასში. დაგვამწკრივა და ეზოში გამოგვიყვანა.

— ნეტა, რა უნდა ვითამაშოთ?!

— ნერგები, ნერგები მოუტანიათ! — დაიღრიალა დიდთავა ყანჩელმა. „ზაგლობა“ - ს ვეძახდით.

— ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა შავ ჩოხოსანი. სიყვარულით მოგვავლო ყველას თვალი. გაგვიღიმა.

— „გამარჯვებით, შვილებო“!

— „გაგიმარჯოთ, ბატონო“! ვუპასუხეთ ერთხმად. ჩვენი ლუარსაბი მივიდა უცნობთან, ხელი მკლავში გაუყარა და ალტაცებით მოგვმართა:

— ბავშვებო! ეს დღე თქვენთვის ბედნიერი დღეა! გესტუმრათ თქვენი საყვარელი მწერალი ვაჟა ფშაველა!“

— „შვილის ნუკრის ნაამბობი!“

— „ია!“ „ია!“

— „მთის წყარო!“

— „ხმელი წიფელი!“

„ჩხიკვთა ქორწილი!“ „ჩხიკვთა ქორწილი!“ — და გაივსო ჩვენი ეზო ჟრიამულითა და სიცილით.

ვაჟამ გაიღიმა და მორცხვად თავი დახარა.

სამ - სამად გაგვყო. პატარა ნიჩბები დაგვირიგა. „ზაგლობას“ დიდი ნიჩაბი ერგო და მე შემაჩეჩა ხელში:

შენ მალალი ხარო.

სასწავლებლის დარაჯიც მოგვეშველა და დავიწყეთ ორმოების თხრა.

— ვაჟა თავს დაგვტრიალებდა:

— არ დაიღალოთ, შვილებო, არ დაიღალოთ! ფესვებს გაუფრთხილდით, ფესვებს!

ნერგები ჩავყარეთ, ნორჩ ფესვებს მიწა სიყვარულით მივაყარეთ და შემდეგ... სურათი გადავიღეთ ვაჟასთან ერთად. ყველა სცდილობდა იმის გვერდით მოხვედრილიყო. დიდი მუჯლუგუნი და წაკვრა - წამოკვრაც იყო. მე სამწუხაროდ, ყველაზე მაღალი ვიყავი და მეორე მწკრივში მოვხვდი. სულ ბოლოში. სურათი ერთი კვირის შემდეგ გვიჩვენა მასწავლებელმა. ყველა თავის სახეს ეძებდა. ჩემი თავი რომ ვიპოვნე, დავკმაყოფილდი (ალბად სულელურადაც გამეცინა) და სურათი მასწავლებელს გადავეცი.

რომ მცოდნოდა, ვაჟა გახდებოდა ჩემი უსაყვარლესი მგოსანი, მხოლოდ იმის სახეს დავაცქერდებოდი, რათა ყოველი ნაკვთი იმის სახისა დამემახსოვრებინა.

— თვალებს ვხუჭავ... ვიგონებ...

— მხოლოდ შავ ჩოხასა ვხედავ.

რომ მცოდნოდა ათი წლის ბავშვს, უცხოეთში ვაჟას სიტყვით გავითბობდი გაყინულ ცხოვრებას, აუცილებლად მოვიპარავდი სურათს.

გაიხარეს! გამაგრდნენ! ფოთლებით შეიმოსეს ნორჩი მკლავები! ვუვლიდით: წყალს ვუსხამდით, ქოჩორზე ხელს ვუსვამდით,. დავაჟკაცდნენ!

და.... როცა სამშობლოს ვტოვებდი, ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში შევედი, ჩემ ჭადართან მივედი. ხუთი ჩემოდენა იყო. აშრიალდა: — სად მიდიხარ? აქ დარჩი!

— ჩემო ჭადარო, შორსა ვარ შენგან! დიდ ქალაქში ვცხოვრობ, ქვაფენილზე დავდივარ. ბიწის ქვეშ რონოდით დავსრიალობ. ქარხნების, ავტომობილებისა და ჰაეროპლანების ხმაურით, ყურები გამოჭედილი მაქვს და

ხშირად ვამბობ ოხვრით: — აღარ მინდა ასეთი სიცოცხლე! შენთან ყოფნა მირჩევნია.

მაგრამ ასეთ სასოწარკვეთილების დროს ეაჟას ველს მოვიგონებ ხოლმე, დილის მზემ თავისი სხივები, რომ დააფრქვია და დილის ნამი ააბრჭყვიალა. შუადღისას მდელოს, რომ მოეფინა ძროხის ნახირი და სარბად დაეცა ბალახსა და ყვავილებს. მწყესი გრილში იჯდა და არხეინად სალამურს უკრავდა.

„ თითო - ოროლა გადარჩენილი ყვავილი დიდად ჭგოდებდა დახოცილებს და თავის სვებედს, ითვალისწინებდა მომავალს და ეეედრებოდა დედა - მიწას:

— დედილო, შენი ჭირიმე, ჩაგვაწვინე ისევ იქ აკვანში, სადაც აქამდის ვიწექით; აღარ გვინდა მზე, აღარ გვინდა ჰაერი, აღარც ცა, არც წვიმა და აღარც ასეთი სიცოცხლე. — შენს უბეში ყოფნა გვირჩევნია!

— ესსუთ, გაჩუმდით! შემოსძახოდა ძირიდან დედა-მიწა, — ეგ აღარ გამაგონოთ! რა გატირებთ? რა გაჩივლებთ?ვიდრე თქვენი ფესვი ჩვენს გულმკერდშია ჩაქსოვილი, თქვენთან სიკვდილს ხელი არა აქვს. კიდევ აჰყვავდებით შვილებო, კიდევ გაიზრდებით, მოითმინეთ ცოტახანს! მაშ, რად გინდათ სიცოცხლე, თუ თქვენ სიცოცხლეს ნაყოფს არ გამოაღებინებთ, არვის ასიამოვნებთ!“

უფროსი კლასის მოწაფენი წმიდა ნინოს საავადყოფოში სანიტარებად ჩავეწერეთ. ის საავადმყოფო ჩვენი სასწავლებლის ზედა სართულში მოათავსეს.

ჩვენი ქაქუცა პირველად იქ ვნახე. რა კარგად მახსოვს! საცვლების ამარა, ფოსტლებში. საავადმყოფოს ხალათს როგორც ნაბადს, ისე მოიგდებდა ბეჭებზე...

შებოდგომის დამდეგს დიდი დარბაზი გავანთავისუფლეთ, დავასუფთავეთ. ფანჯრები მე და ჯავრიშვილმა გავწმინდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ვაჟა მოათავსეს ნათელ ოთახში.

მახსოვს:

მორიდებით შევაღე კარები... იქვე, კარებთან იწვა რკინის ლოგინზე, გამხდარი, ვაყვითლებული, პატარა ტანის კაცი. საავადმყოფოს თეთრი, განიერი პერანგი ეცვა.

შემომხედა.

— ქართველი ხარ?

— დიახ ბატონო! როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, გმადლობთ! ყველასი მადლობელი ვარ ყველანი კარგები ხართ. — ჩაახველა. მძიმედ შეისუნთქა. განაგრძო:

— ქართველი დაჭრილები ბლომადა გყავთ?

— დიახ ბატონო.

ჩაფიქრდა, გამხდარი, უსისხლო ხელი თავ - ქვეშ ამოიდვა და ჭერს მიაპყრო თვალები... ცალი თვალი, მგონი მარჯვენა, ჩამოხეული ჰქონდა და ცრემლი მოადგა ზედ. ტუჩები აუთამაშდა. რაღაცას ამბობდა ... იქნებ „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედასთან" მოაგონდა:

„გულ - მკერდი აგიყოვდება,
დედაო ია - ვარდითა" ...

ფეხ - აკრეფით გამოველ ოთახიდან.

შინ რომ დავბრუნდი „ გველის მჭამელი" გადავშალე:

„მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვებისა სერითა,
და დააშტერდა თავის მკვლელს
მოზარე ქალის ფერითა" ....

ფანჯარა გამოვაღე, წნიდა ნინოს საავადმყოფო ელექტრონით იყო გაჩაღებული და... ელექტრონის შუქზე რკინის ლოგინზე ლევდა სულს დაჭრილი მინდია.

1935 წ.

სარჩევი.

მკითხველთა უწყებად.	5
გიორგი ყიფიანი. - სიმონ ბერეჟიანის ხსოვნას.	8.
ნასახლარი.	11
მგოსანი.	12
მარადისობა.	14
მშვიდობით.	15
წვიმა.	16
უკვდავება.	18
გული.	19
გურიას.	20
მერცხლის წყევლა.	21
მგზავრი.	23
სამშობლო უცხოეთში.	27
ემლო.	30
ურნული.	33
შეფიცულებს.	36
სიზმარი.	38
პოემანი მთაწმინდაზე.	41
მოგონებანი ვაჟაზე.	59

შემოწირულება

ალექსანდრე კარგარათელმა, მისი წიგნის „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ - ს შემოსავალი: 1170 ფ.

პეტრე ხვედელიძე — იოსებ დადიანის ასულთა დაუვიწყარ ხსოვნისათვის — 1300 ფ.

2470 ფ.

სარჯები

ფრანგული სტამბა.	7500 ფ.
ლევილის სტამბა	520 ფ.
	8020 ფ.

რედაქტორი — გიორგი ყიფიანი.

გამომცემელი — აკაკი შავგულიძე.

დაიბეჭდა — ოთხასი ცალი.

F 70.844
3